



3ირველი არხი

1TV.GE

საგომბადმოაბრკივი ბაუწყებდის

2022 წდის 3ირველი კვალოდის

ანბარკიში

მთავარი სიახლეები

სოლიდარობის მართონი - „ჩვენ უკრაინისთვის“

საქველმოქმედო მართონი საქართველოს პირველმა არხმა წითელ ჯვართან ერთად გამართა. თანხა უკრაინის წითელი ჯვრის ანგარიშზე გადაირიცხა.



თელემართონი „გადავარჩინოთ უკრაინა“

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში უკრაინის სოლიდარობის საქველმოქმედო საერთაშორისო ტელემართონი „გადავარჩინოთ უკრაინა“ გადაიცა.



სხელი ხაზი - უკრაინის მოქალაქეების დასახმარებლად

საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს საქართველოს პირველმა არხმა საინფორმაციო დახმარება შესთავაზა.



უკრაინის რადიო საქართველოში

პირველი არხი საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის, უკრაინის საზოგადოებრივ რადიოსთან ერთად, უზრუნველყოფდა უკრაინის რადიოეთერის პირდაპირ ტრანსლაციას.



ევროპის რადიოსადგურები ერთი იდეის გარშემო

ევროპის 150-მდე საზოგადოებრივი რადიო, მათ შორის საქართველოს და უკრაინის რადიოები, გაერთიანდნენ და ერთსა და იმავე დროს ჯონ ლენონის სიმღერა - Give Peace a Chance გააჟღერეს ეთერში.



2021 წლის შეჯამება

საქართველოს პირველმა არხმა 2021 წლის შეჯამება გამოაქვეყნა.



გაშუქებული თემების სტატისტიკა

საქართველოს პირველმა არხმა გაშუქებული თემების სტატისტიკა გამოაქვეყნა.



„ტელესკოლა“ – მაუწყებლობის ორი წელი და HD ხარისხი

30 მარტს „ტელესკოლის“ მაუწყებლობის დაწყებიდან ორი წელი შესრულდა.

ამასთან, „ტელესკოლამ“ მაღალი გარჩევადობის ვიდეოსიგნალით დაიწყო მაუწყებლობა.



პოლიტიკის ახალი დოკუმენტები

- სტრატეგიის დოკუმენტი
- სარედაქციო პრინციპები
- HR პოლიტიკა
- გზამკვლევი - მუზღუდული შესაძლებლობების საკითხების გაშუქება
- სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი
- თანამშრომლის ორგანიზაციული სახელმძღვანელო
- თანამშრომლის პროფესიული განვითარება
- სტაჟირების პროგრამა

2021 წელს შეიქმნა ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ეს სტრატეგიული დოკუმენტი ასახავს როგორც საერთაშორისო სტანდარტებსა და ღირებულებებს, ასევე, ადგილობრივ კანონმდებლობას, რეგულაციებს და ორგანიზაციის უნიკალური მოდელისათვის დამახასიათებელ კარგ პრაქტიკას. დოკუმენტი მოიცავს ორგანიზაციის მიდგომებს დასახული მიზნისა და ღირებულებების შესრულების გზაზე, თუ როგორ გეგმავს ადამიანურ რესურსს, აკომპლექტებს გუნდს, ზრუნავს თანამშრომლების განვითარებაზე და მართავს შრომით ურთიერთობას გამჭვირვალობის, თანაბრობის და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპების დაცვით.

საქსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზაციაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი დამტკიცდა.



ბაზრის წილის 40%-იანი ზრდა

პირველი არხის ბაზრის წილი 40%-ით გაიზარდა



უნდობლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი

საზოგადოებრივ მაუწყებელს უნდობლობის კვლავ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს.



ბაზრის კვლევა ვებპორტალისთვის

საქართველოს პირველმა არხმა ვებპორტალის დამზადების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით ბაზრის კვლევა დაიწყო.



იაპონიის ელჩის ვიზიტი

იაპონიის ელჩი იმამურა აკირა საქართველოს პირველი არხის გენერალურ დირექტორს თინათინ ბერძენიშვილს შეხვდა.



სომხეთის დელეგაციის ვიზიტი

საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი სომხეთის დელეგაციას შეხვდა.



შექანილი ღიშანობიები

კომპანია "Mediawan Rights"-ისგან დეტექტიური ჟანრის ფრანგული სერიალები;

კომპანია "European Judo Union"-სგან ძიუდოში ევროპის ჩემპიონატის ჩვენების უფლება;

კომპანია "Boomerang TV"-სგან სერიალ „ძველი ხიდის საიდუმლოს“ ახალი სეზონები.

„პეკინი 2022“

„პეკინი 2022“ საზეიმოდ დაიხურა. თებერვლის თვეში საქართველოს პირველმა არხმა მაყურებელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშები შესთავაზა.



„შარქ თენქ საქართველო“ - შეხვედრა რეგიონში

საქართველოს პირველი არხის პროექტის „შარქ თენქ საქართველო“ წარმომადგენლებმა ოზურგეთის ტექნოპარკში შეხვედრა გამართეს.



ტრენინგი და განვითარება

„შარქ თენქ საქართველო“ მონაწილეები, საქართველოს პირველი არხის ინიციატივით, პრეაქსელერაციის ტრენინგს გაივლიან.



„მასტერშეფი“- წლის წარმატებული თელავროქები

„ქართული ბრენდის დღე 2021“-ის დაჯილდოებაზე წლის წარმატებული ტელეპროექტის ნომინაციაში გამარჯვებულად საქართველოს პირველი არხის მეგაშოუ „მასტერშეფი“ დასახელდა.



ახალი და მიმდინარე ამბები

რუსეთის აგრესია უკრაინაში

საანგარიშო პერიოდში, რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყო. ეს მოვლენა „მოამბის“ და საქართველოს პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის წამყვან თემად იქცა. რუსული ინტერვენციის, სამხედრო, პოლიტიკური და ჰუმანიტარული ასპექტების გასაშუქებლად უკრაინაში საქართველოს პირველი არხის რამდენიმე გადამღები ჯგუფი გაიგზავნა.

ევროატლანტიკური ინტეგრაცია

უკრაინაში რუსული აგრესიის ფონზე გააქტიურდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებითაც. საქართველომ შეიტანა ევროკავშირში განვრცობის განაცხადი, ხოლო NATO-მ საქართველოს სამხედრო მხარდაჭერის და ალიანსში ინტეგრაციის პროცესების გაფართოებაზე დაიწყო საუბარი. ყველა ეს პროცესი აქტიურად და პრიორიტეტულად გაშუქდა „მოამბის“ და პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ეთერში.

არჩევნების გაშუქება

2 აპრილს ბათუმსა და რუსთავში შუალედური არჩევნები გაიმართა. რუსთავმა და ნაწილობრივ გარდაბანმა აირჩია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, ხოლო ბათუმმა საკრებულოს მაჟორიტარი.

საქართველოს პირველმა არხმა წინასაარჩევნო კამპანია და საარჩევნო პროცესი გააშუქა დაბალანსებულად და მიუკერძოებლად, ყველა საერთაშორისო სტანდარტისა და იმ ღირებულებების დაცვით, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს.

„მოამბე“ რეგიონები

იანვრიდან, საქართველოს პირველ არხზე, ყოველ პარასკევს, 18:00 საათზე ეთერში გადის „მოამბე რეგიონები“ - საქართველოს ყველა კუთხესა და რეგიონში არსებული სიახლეები, პრობლემები და გამოწვევები. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების რეპორტაჟებში რეგიონებში არსებული ყველა აქტუალური საკითხი შუქდება.

„მოამბე რეგიონები“ მაქსიმალურად ცდილობს, შევიდეს ყველა რაიონსა და სოფელში და გააშუქოს მათი ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა.

მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატი

2022 წლის პირველ კვარტალში, საინფორმაციო გამოშვება მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატით გავიდა ეთერში. ეს კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს პირველი არხის მასშტაბური ტექნიკური გადაიარაღების გზაზე.

მაღალი გარჩევადობის ფორმატზე გადასვლას წინ უძღოდა ახალი ამბების სამსახურის მსოფლიოში აღიარებული ლიდერი ბრენდის - AVID-ის სისტემით აღჭურვა. ახალი და მიმდინარე ამბების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ახალი სისტემა მოიცავს AVID-ის ინტერფეისსაც, რომელიც უზრუნველყოფს ნიუსრუმის ინტეგრირებულ საწარმოო ციკლს დაგეგმარებიდან საინფორმაციო გამოშვების ეთერში გასვლამდე.

„ახალი კვირა“ - ფორმატის განახლება

საანგარიშო პერიოდში ყოველკვირეული პროგრამის „ახალი კვირა“ ფორმატის განახლებაზე მუშაობა დაიწყო. ფორმატის განახლებამდე პროგრამის ეთერში გასვლა დროებით შეჩერდა.

ამ პროცესის პარალელურად გადაცემის წამყვანისა და ორი ჟურნალისტის მხრიდან გაუღერდა სარედაქციო პრინციპების დარღვევის დაუსაბუთებელი ბრალდება.

საქართველოს პირველი არხი მყისიერად გამოეხმაურა მის წინააღმდეგ რეპუტაციის შემლახავ მიზანმიმართულ კამპანიას და დაიწყო შიდა რეგულაციით გათვალისწინებული პროცედურა. პროცედურის შედეგი სავარაუდოდ შემდგომ საანგარიშო პერიოდში გახდება ცნობილი.

„ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს პირველი არხის მიმართ საზოგადოების ნდობა იზრდება. როგორც ჩანს, დამოუკიდებელი ინსტიტუციის გაძლიერება არ არის ხელსაყრელი ზოგიერთი დაინტერესებული მხარისთვის, რაზეც მეტყველებს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეპუტაციისა და იმიჯის შელახვის მიზნით წარმოებული კამპანია“ - ნათქვამია მაუწყებლის განცხადებაში.

პირველი არხი მიიჩნევს, რომ რადიკალურად პოლარიზებულ მედიაგარემოში სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებელი იცავს მკაცრად სარედაქციო პრინციპებსა და მედიასტანდარტს, რაც გამოიხატება მის დაბალანსებულ, მრავალფეროვან, ხარისხიან სატელევიზიო, რადიო და ონლაინ პროდუქტში.

მრავალფეროვანი საქართველო

2022 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი აგრძელებდა ყოველდღიურად ოთხ-ოთხი საინფორმაციო გამოშვების მომზადებას აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე (12:00, 15:00, 18:00 და 20:00 საათზე).

აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებები გადაიცემოდა შესაბამისი ონლაინპლატფორმით, ასევე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით.

მაუწყებელი, ასევე, უზრუნველყოფდა პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების „მომბე 21:00 საათზე“ სინქრონულ თარგმანს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2022 წლის პირველ კვარტალში, „მრავალფეროვანი საქართველოს“ ჯგუფმა, ქვემო ქართლის და სამცხე ჯავახეთის 60 სოფელში, უზრუნველყო მოსახლეობის ინფორმირება „კარდაკარის პრინციპით“ საზოგადოებრივი მაუწყებლის აზერბაიჯანულ და სომხურენოვან გადაცემებზე.



2022 წლის პირველი კვარტალი

2022 წლის პირველი კვარტალი დატვირთული იყო ახალი შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტებით. გაგრძელდა ის პროექტები, რომლებმაც გასულ წელს მაყურებლის ინტერესი და სიყვარული დაიმსახურეს. დაემატა რამდენიმე ახალი პროექტი.

- 2022 წლის პირველ კვარტალში ეთერში ჩაეშვა კომპანია „სიბლერს TV“-ის მიერ მომზადებული ორი პროექტი: „ცხრა მთას იქით“ და „Chek In“. „ცხრა მთას იქით“ ყოველ შაბათს, საღამოს 9 საათზე, ტელესკოლის მცირეწლოვან მაყურებელს თავად ბავშვების მიერ დაწერილ და შემდეგ გრაფიკულად გაცოცხლებულ ზღაპრებს უყვებოდა. პროექტი „Chek In“-ი კი მაყურებელს მსოფლიოს გარშემო ამოგზაურებდა და უკეთ აცნობდა სხვადასხვა ქალაქის გეოგრაფიას, კულტურასა და ღირბესანიმნაობებს.

- 2022 წლის პირველ კვარტალში ჩაიწერა კიდევ ერთი ახალგაზრდული პროექტის - „წითელი სკამი“ 4 ეპიზოდი. სატელევიზიო ეთერში მისი ჩაშვება კი აპრილის თვიდან დაიგეგმა.

- მომზადდა ინოვაციური პროექტი „მათემატიკის ონლაინ ოლიმპიადა“ მეხუთე და მეექვსეკლასელებისთვის. ეს მულტიმედიური პროექტია, რომელიც ერთდროულად რამდენიმე პლატფორმაზე ინტეგრირდება. აღნიშნული პროექტი მოიცავს სატელევიზიო გადაცემებს, სადაც მათემატიკის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები მოსწავლეებს უხსნიან საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის პრინციპებს და პარალელურად, მიღებული ცოდნის გამოყენებით, მოსწავლეთათვის მიმდინარეობს ოლიმპიადა მობილური აპლიკაციის მეშვეობით. პირველ კვარტალში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, მომზადდა სატელევიზიო გადაცემები და მობილურ აპლიკაციაში „1 TV PLAY“ ჩაშენდა სპეციალურად ოლიმპიადისთვის საჭირო გვერდი. მოხდა მისი ტესტირება და 2 აპრილისთვის წარმოებაში ჩასაშვებად მომზადდა. ასევე, მარტის ბოლოდან, ეთერში ჩაეშვა სატელევიზიო გადაცემების სერია, რომელსაც ორი მათემატიკოსი - პროფესორ-მასწავლებელი კოტე კუპატაძე და ივანე გოქაძე წარუძღვებიან.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის პრომოუშენის დაწყებიდან მალევე მობილური აპლიკაცია ჩამოწერა 10 000-მდე მომხმარებელმა, ხოლო უშუალოდ მათემატიკის ონლაინ ოლიმპიადაზე 4000-ზე მეტი მეხუთე და მეექვსეკლასელი დარეგისტრირდა.

- პროექტი „რჩევები მშობლებს“ კვლავ ხორციელდებოდა განათლების კოალიციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. მომზადდა კიდევ 8 ეპიზოდი, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების ხელშეწყობას და მშობლებისთვის საჭირო რჩევების/რეკომენდაციების მომზადებას დაეთმო.

- გრძელდებოდა პროექტი „გენიოსები“, რომელიც იმ ადამიანების ბიოგრაფიასა და შემოქმედებას გვაცნობდა, რომლებმაც შეცვალეს სამყარო და რომელთა შესახებ ელემენტარული ინფორმაციის ცოდნა ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- მიმდინარეობდა მუშაობა და ეთერში თავსდებოდა მცირეფორმატიანი შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიდეოები, როგორებიცაა „კოსმოსი“; „ჩვენი პლანეტა“; „იოგა“; „ინგლისური 1 წუთში“.

სიახლეები საეთერო ბალები

ახალი სერიალი „სიყვარულს მიღმა“

2021 წლის ბოლოს პირველი არხის მენეჯმენტის მიერ დაიგეგმა ახალი მხატვრული სერიალის წარმოება. სცენარის და ქასთინგის ფაზა დასრულებულია. მიმდინარეობს წარმოების ეტაპი.

სერიალი „სიყვარულს მიღმა“ ახალი ქართული დრამაა, ორი ოჯახის საბედისწერო ისტორიის შესახებ. მას მაყურებელი ეთერში იხილავს აპრილის თვიდან.

„მასტერშოუი“

სტარტს იღებს კულინარიული შოუს კიდევ ერთი ახალი, მეშვიდე სეზონი.



„რეალური სივრცე“

გადაცემამ „რეალური სივრცე“ მოამზადა სპეციალური ეთერი პოლონეთიდან, რომელიც ასახავდა უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობას პოლონეთის ტერიტორიაზე.



„შარქ თენქ საქართველო“

მიმდინარეობს მზადება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რეალითი შოუს „შარქ თენქ საქართველოს“ მეორე სეზონისთვის.

4- ემის მფლობელი შოუ საქართველოს სატელევიზიო სივრცეში პირველად გასულ წელს გამოჩნდა. პირველ სეზონზე 46 მონაწილე დამწყებ ბიზნესს შორის, ინვესტორების დაფინანსება 14-მა რჩეულმა მოიპოვა და ჯამში 1,5 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

20 აპრილიდან კი, ყოველ ოთხშაბათს, საქართველოს პირველი არხის ეთერში მაყურებელს „შარქ თენქ საქართველოს“ მეორე სეზონი ელოდება.



„მაშველები“

წარმოების ფაზაშია ანიმაციური სერიალის „მაშველები“ კიდევ ერთი სეზონი.



„რანიდა“

მიმდინარეობს მზადება მუსიკალური შოუს „რანიდა“ ახალი სეზონისთვის. ყველაზე საბავშვო და მუსიკალური მეგა შოუ 16 აპრილიდან, პირველ არხზე, მეხუთე საიუბილეო სეზონით ბრუნდება!



ტელევიზია

ბრძანება პროექტი “ტელეოკი”

პირველი კვარტლის განმავლობაში, 2022 წლის 15 იანვარს, ეთერში გავიდა რეჟისორ ბესიკ გაფრინდაშვილის ტელედოკი „ენგურჰესი-მშვიდობის კუნძული“;

2022 წლის 19 თებერვალს ეთერში გავიდა რეჟისორ ნატა ჰაკორიას ტელედოკი „ლომერი... და დღე იყო უფრო გრძელი ნუთისოფელზე“;

2022 წლის 26 თებერვალს ეთერში გავიდა რეჟისორ დიმიტრი სილაქაძის ტელედოკი „თებერვლის ტანკები“;

2022 წლის 5 მარტს ეთერში გავიდა რეჟისორ მირანდა ნამიჭვიშვილის ტელედოკი „გოგონა ელფების ქვეყნიდან“;

2022 წლის 19 მარტს ეთერში გავიდა რეჟისორ თათია ახალშენაშვილის ტელედოკი „ხმაური და მონატრება“;

2022 წლის 26 მარტს ეთერში გავიდა რეჟისორ ლევან შუბაშვილის ტელედოკი „სამი დღე, ორი ღამე“;

2022 წლის 22 იანვარს ეთერში გავიდა მანანა ხიდაშელისა და ბესიკ გაფრინდაშვილის დოკუმენტური ფილმი „იოსებ ყიფშიძე“.

2022 წლის 5 თებერვალს ეთერში გავიდა რეჟისორ თამარ გოლაშვიას ტელედოკი „ხიდი“.

მნიშვნელოვანი მოვლენები / საშუაოები / სიახლეები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური მხარდაჭერით (თანამონაწილეობით) დასრულდა წარმოება/შექმნის პროცესი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ (რეჟისორი ნანა ჯორჯაძე) და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „სიმღერა“ (რეჟისორი ელდარ შენგელაია). გაფორმდა ხელშეკრულება სრულმეტრაჟიანი ფილმის „რეალური არსებები“ წარმოება/შექმნაზე - რეჟისორი ვახტანგ ჯაჭანიძე.

ღინამიკა - მიმდინარე კვარტალში ჩაეშვა ახალი პროექტები:

2022 წლის 10 მარტიდან გაიხსნა რეჟისორ ქუცნა ამირეჯიბის ფილმი „ჭაბუა ამირეჯიბის პერსონაჟთა პროტოტიპები“;

2022 წლის 10 მარტიდან გაიხსნა რეჟისორ ბესიკ გაფრინდაშვილის ფილმი „უნივერსიტეტის დამაარსებლები - გიორგი ახვლედიანი“.

მაბრძანებელი პროექტები:

„ოპერის ხანძარი“

„ქართველი მოდერნისტები“ -

„დრო აღარ ითმენს - დაბრუნება“

„საქართველოს რადიო“

უკრაინის რადიო საქართველოში

პირველი არხი საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის, უკრაინის საზოგადოებრივ რადიოსთან ერთად, უზრუნველყოფს უკრაინის რადიოეთერის პირდაპირ ტრანსლაციას




ევროპის რადიოსადგურები ერთი იდეის გარშემო

ევროპის 150-მდე საზოგადოებრივი რადიო, მათ შორის საქართველოს და უკრაინის რადიოები, გაერთიანდნენ და ერთსა და იმავე დროს ჯონ ლენონის სიმღერა - Give Peace a Chance გააუღერეს ეთერში.



ბეთჰოვენის ოლა მშვიდობას

ევროპის მაუწყებელთა კავშირის 40 რადიოსადგური გაერთიანდა მშვიდობისთვის და ეთერში გადასცა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია „სიხარულის ოლა“.



ონლაინგეგია

საქართველოს პირველი არხის ონლაინგეგიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე 1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუნეებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე, დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბებისა და რადიოს მობილურ აპლიკაციებს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

მიმდინარეობს 1tv.ge-ის ტექნიკური განახლება და დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციონალი.

დასრულდა 1tv.ge-ის ტექნიკური სამუშაოები, კერძოდ, ბაზების კონფიგურაცია.


მიმდინარეობს საიტის 1tv.ge საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის ტექნიკური სამუშაოები.

აპლიკაცია ITVPLAY-ზე დასრულდა მათემატიკის ოლიმპიადის ტექნიკური სამუშაოები.

საიტის 1tv.ge სტატისტიკა	I კვარტალი 2022	IV კვარტალი 2021
ვიზიტი საიტზე	6,075,411	7,032,996
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში)	52,126	60,912
საშუალოდ დღეში ვიზიტი	67,505	76,446
მაქსიმალური მაჩვენებელი	152,641 (02/24/2022)	172,000 (11/29/2021)

იუთუბარხების სტატისტიკა	I კვარტალი 2022	IV კვარტალი 2021
ნახვა	27,900,000	7,032,996
საშუალოდ დღეში ნახვა	310,000	60,912
მაქსიმალური მაჩვენებელი	545,000 (27/02/2022)	76,446 (15/11/2022)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.




ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - **25,9 მილიონი**

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - **574,700**



გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 408,406- გაზრდილია **1.42%-ით**



რატარებულ კვლევები

2021 წლის დაკვირვების რათვლით დაგეგმილი კვლევები:

დაიწყო მზადება სატელევიზიო აუდიტორიის ფსიქო-მარკეტინგული სეგმენტაციის კვლევის ჩასატარებლად, კვლევის ჩატარების პერიოდი 2022 წლის მაისი (დაგეგმილი).

კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი, პირისპირ ინტერვიუს მეთოდი.

კვლევის ძირითადი მიზანია:

- სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობა;
- სატელევიზიო ბაზრის აღწერა - სამომხმარებლო (ტელეყურების მოტივი), ფსიქოგრაფიული და დემოგრაფიული სეგმენტაცია. სეგმენტების მოცულობა, პიროვნული პროფილი, სხვა მახასიათებელი ცვლადები;
- ტელეაუდიტორიის ქცევის განსაზღვრა;
- დროითი ინტერვალების აღწერა;
- სეგმენტების განაწილება დროის ინტერვალებში;
- ტელეაუდიტორიის დროითი პოტენციალი;
- არხის რეიტინგის პოტენციალი;
- არსებული ტელეპროექტების პოტენციალი;
- საქართველოს პირველი არხისა და კონკურენტი არხების სარეიტინგო მაჩვენებლების დადგენა, სატელევიზიო პროდუქციის პოზიციონირება;
- ტელემაყურებელთა დამოკიდებულება საინფორმაციო პროგრამებისადმი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისადმი, შეფასება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით;
- სატელევიზიო არხების და სატელევიზიო გადაცემების ეფექტურობის ინდექსის განსაზღვრა. ცვლადები - ცნობადობა, დამოკიდებულება, ტელე-ყურების ინტენსივობა, რეგულარული ყურება; ტელემაყურებელთა თავისუფალი დროის რესურსის განსაზღვრა;
- ბრენდის მახასიათებლები, მოსახლეობის ღირებულებები და მოთხოვნები, რომელიც
- საქართველოს პირველი არხის პრიორიტეტებში უნდა აისახოს.

დასრულდა ტელე-აუდიტორიის კვლევის მეოთხე ტალღა. კვლევის მიზანი: ტელევიზიების საინფორმაციო კონტენტის მიმართ ნდობა, რეგულარული ტელევიზია, პირველი არხის გადაცემების ცნობადობა და ყურების გამოცდილება. კვლევის მეთოდი: სატელეფონო კვლევა. მომზადდა და ჩატარდა პრეზენტაცია;

გაუწყებლის პლატფორმაზე გაშუქებული ინფორმაციის მონიტორინგის კუთხით 2022 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაო:

- გაშუქებული თემების მონიტორინგის უწყვეტი პროცესის კოორდინირება- იგულისხმება მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების მონიტორინგი - მასალის რაოდენობრივი კომპონენტების, მონვეული/ გაშუქებული სუბიექტების აღრიცხვა;
- მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს პირველი არხის თემატური პრიორიტეტების წლიური [ანგარიში](#);
- მონიტორინგის ანგარიშები მომზადდა შიდა გამოყენებისთვის: „პირველი არხის“, „საქართველოს რადიოს“, „მრავალფეროვანი საქართველოს“ გადაცემებზე. მომზადებული ანგარიშები გაეგზავნა გადაცემების პროდიუსერებს და მათთან კომუნიკაციაში დაიგეგმა ინფორმაციის გაცვლის შემდეგი ნაბიჯები;
- მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა პასუხები სხვადასხვა ორგანიზაციების წერილებზე. მაგ: ეთნიკური უმცირესობების ენებზე და მათ შესახებ გაშუქებული ინფორმაცია; შშმ პირებისა და პარასპორტსმენების გაშუქება საქართველოს პირველ არხზე.
- პროგრამული უზრუნველყოფის კოორდინირება. ტექნიკური დავალებების შემუშავება, პროგრამის ფუნქციონალის გაუმჯობესების მიმართულებით.

ტექნიკა და ტექნოლოგიები

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური - შესრულებული სამუშაოები

2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში განხორციელდა ახალი ამბებისა და პოლიტიკური გადაცემების ბლოკის მაუწყებლობის მთლიანად გადაყვანა ახალ სისტემებზე, სრული დატვირთვით ამუშავდა ახალი სააპარატოები, სარეჟისორობები და სხვა ახალი ტექნოლოგიური რგოლები.

კერძოდ, „მოამბე“ და ბლოკის სხვა გადაცემების წარმოება და პირდაპირი მაუწყებლობა საბოლოოდ გადაირთო Full HD სტანდარტზე. „მოამბის“ და თოქ-შოუს სტუდიები ეთერში გავიდა ახალი საკამერო სისტემებით და სხვა ახალი სტუდიური აპარატურით. შესაბამისად, პირდაპირი ეთერის მართვა გადაეცა „მოამბის“ ახალ მასტერკონტროლერებს. ბლოკის ყველა გადაცემის გარე და შიდა გადაღება მთლიანად გადავიდა მაღალი გარჩევის სტანდარტზე. სრული დატვირთვით ამუშავდა Avid-ის ტექნოლოგიური კომპლექსის სისტემები. კერძოდ, მოამბის წარმოება მთლიანად გადაირთო ახალ სამონტაჟოებში, ახალ სანახ მასივებზე, ახალ ნიუსრუმის სისტემაზე, ახალ მედია ასეტების მართვის სისტემაზე. ჟურნალისტების და ყველა სხვა რგოლის სამუშაო პროცესები გადაირთო ქლაუდ სისტემაში მუშაობაზე. გადაცემის მზადებისა და პირდაპირი ეთერის დროს მუდმივად ხდებოდა ყველა სისტემის მონიტორინგი და თანამშრომლების დამატებითი ასისტირება ყველა პროცესის სწორი მართვის უზრუნველყოფისათვის. ხდებოდა უზუსტობების აღრიცხვა და შესაბამისი დამატებითი კონსულტაციები და ტრენინგები. საბოლოოდ, კვარტლის მეორე ნახევრიდან, ყველა რგოლი ამუშავდა უწყვეტ და უხარვეზო რეჟიმში.



იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2022 წლის პირველ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 211 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლო და საალსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩე	დავის საბანი	საქმის წარმოების სტაფია
1	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<p>თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.</p> <p>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს საკითხს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ.</p>
2	ფ/პ ავთანდილ შიშიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	<p>თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა</p>
3	შპს “სთალია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს	<p>თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები დამათსაფუძველზე</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც იხილავს საკითხს სარჩელის დასაშვებობის შესახებ (ამასთან დაკავშირებით ჩატარდა ზეპირი მოსმენა).</p>
4	ალექსანდრა ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისი პირობები, ასევე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p>

5	ალექსანდრა ზღაწი	საავტორო უფლებების აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	<p>_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p> <p>- მოსარჩელის გარდაცვალების გამო, სასამართლოს განჩინებით ერთი წლის ვადით შეჩერდა საქმის წარმოება.</p>
6	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 ¹ მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დაშტრიხული სახით).</p> <p>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საიას-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც იხილავს საკითხს სარჩელის დასაშვებობის შესახებ (ამასთან დაკავშირებით ჩატარდა ზეპირი მოსმენა).</p>
7	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
8	ალექსანდრა სოჭავაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე და საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებით, ალ. ხოჯავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მას უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ალ. ხოჯავას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.</p> <p>საქმის წარმოება დასრულებულია.</p>
9	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
10	ანა ტარაგალიძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. ამ ეტაპამდე (ერთ წელზე მეტია გასული) დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ არის და შესაბამისად, არც ჩაბარებია საზოგადოებრივ მაუწყებელს.</p>
11	დონარა შონავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>

12	გიორგი სანიბაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
13	გარიაშ სონიშვილი	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
14	დალი ბარაბაძე	ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
15	ირაკლი აბსანაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16	ნეზარ ჩხაიძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულთა საკასაციო წესით.</p>
17	ეათიმო დაკანოიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა მხარეთა სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნა საკასაციო საჩივარი, რომელიც განუხილველად იქნა დატოვებული.</p> <p>შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა სარჩელი მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაც სრულად დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულთა სააპელაციო სასამართლოში.</p>

18	1. შალვა სამხარაძე 2. ზურაბ ავთოვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ზ. ეჯოშვილთან და შ. სამხარაძესთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელები, მოსარჩელებს უარი ეთქვათ სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზ. მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა, რაც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>1. შალვა სამხარაძესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სამუშაოზე აღდგენის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა მხოლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შ. სამხარაძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი და დავა დასრულებულია.</p> <p>2. ზ. ეჯოშვილთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.</p> <p>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო იხილავს საკითხს ზ. ეჯოშვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ.</p>
19	ლევან ლავაიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილდასრულად.</p> <p>_ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოსარჩელეს უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- ამ ეტაპზე საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია.</p>

2.2

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში:

